



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არღუნი

არღუნი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში (ჭონქაძის თემში), ალევის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. დუშეთისხევის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. ზ. დ. 1200 მ, დუშეთიდან 7 კმ. 163 მცხ. (2014).

სოფელში იდგა პეტრე და პავლე მოციქულების შუა საუკ. ერთნავიანი ეკლესია, რ-იც XX ს. 30-იან წლებში დაანგრეს და მიწასთან გაასწორეს (ასეთივე ბედი ეწია სოფლის სხვა სალოცავებსაც). მ. ნოდუას სახ. გეოფიზიკის ინ-ტის თანამშრომელთა და სოფლის მოსახლეობის ძალისხმევით, არქიტექტორების გ. ქალებაშვილის, ა. შავერდაშვილის და ნ. მინდორაშვილის მეტვალყურეობით ძეგლი აღდგენილია 1990 თითქმის თავდაპირველი სახით.
